შიდაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (9.636)

18-28 ივნისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

არჩევნებმა გადაიარა

თვითმმართველობის არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის მასშტაბით ყველაზე კარგი შედეგი დედოფლისწყაროში მიიღო. ცესკოს მონაცემებით, რომელიც დედოფლისწყაროს ოლქის ყველა უბნის შედეგებს ეყრდნობა, სახელისუფლებო ძალამ ამომრჩეველთა ხმების 84,46% მოიპოვა. ამ მაჩვენებლით ირაკლი ღარიბაშვილის მშობლიურმა რაიონმა ბიძინა ივანიშვილის მხარის, საჩხერის მონაცემებსაც გადაუსწრო.

დედოფლისწყაროს საკრებულოში მანდატების მოპოვებას ორი პოლიტიკური ჯგუფი შეძლებს. ახალი მოწვევის საკრებულო „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებით დაკომპლექტდება.

პროპორციული სისტემით „ქართულმა ოცნებამ“ დედოფლისწყაროს ოლქში ბოლო მონაცემებით 9 658 ხმა მიიღო. ეს კი ამომრჩეველთა 84,46%-ია. მეორე ადგილზეა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელთაც 1 088 ხმა მიიღეს, ეს კი ამომრჩეველთა 9,51%-ს შეადგენს.

მესამე ადგილზე „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია გავიდა“, მათ 332 ხმა მოიპოვეს, ეს კი 2,9%-ია. შემდეგ ადგილზე ლეიბორისტები გავიდნენ, შალვა ნათელაშვილის პარტიამ 243 ხმა მიიღო, რაც 2,13% აღწევს.

ბოლო ადგილებზე გავიდა თამილა გურაშვილის „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ და ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“. კუკავას პარტიამ 86 ხმა — 0,75%, ხოლო „თვითმმართველობა ხალხს“ 28 ხმა - 0,24% მოაგროვეს.

გამგეგელი

დედოფლისწყაროს გამგებლობის კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან“ რეკორდულად მაღალი მხარდაჭერა მოიპოვა. ნიკოლოზ ჯანიაშვილის შედეგი არამარტო კახეთის რეგიონში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით მაღალია. ზოგადად, ნიკოლოზ ჯანიაშვილს დედოფლისწყაროსა და მისი სოფლების მასშტაბით გაცილებით დიდი მხარდაჭერა აქვს, ვიდრე ჩვენს ოლქში კოალიცია „ქართულ ოცნებას“.

მაჟორიტარები

დედოფლისწყაროს საკრებულოში მოსახვედრად 12-ივე მაჟორიტარული მანდატი „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა მოიპოვეს. საოლქო-საარჩევნო კომისიის მონაცემების მიხედვით „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებულ მაჟორიტარ კანდიდატთა შედეგები ასე გამოიყურება.

მაჟორიტარულ არჩევნებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გოჩა ანთაურმა ყველაზე მაღალი მხარდაჭერა მოიპოვა. მას ამომრჩეველთა 96,75%-მა დაუჭირა მხარი, რაც 415 ხმას შეადგენს. ამავე სოფელში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა მანანა ალექსანოვმა კი მხოლოდ 14 ხმა მოიპოვა.

ყველაზე დაბალი მხარდაჭერა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ კანდიდატებს შორის სოფელ ქვემო ქედის კანდიდატს დავით ხუმარაშვილს აქვს. მას ამომრჩეველთა მხოლოდ 62,6%-მა დაუჭირა მხარი, ეს კი 339 ხმას შეადგენს.

სოფელ ქვემო ქედში მოსალოდნელზე მაღალი მხარდაჭერა აჩვენა დამოუკიდებელმა კანდიდატმა ავთანდილ ხარხელაურმა, რომელიც საინიციატივო ჯგუფის მიერ იყო წარდგენილი. „ქართული ოცნების“ კანდიდატის დაბალი მხარდაჭერაც სწორედ ძლიერი კონკურენტითაა გამოწვეული. ავთანდილ ხარხელაურს ქვემო ქედის ამომრჩეველთა 32,53%-მა დაუჭირა მხარი, რაც 176 ხმაა.

მაღალი მაჩვენებლით მეორე ადგილზეა სოფელ სამრეკლოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ გოჩა სამუკაშვილი, რომელმაც 1043 ხმა, ანუ 93,29% მოაგროვა. მაღალი მაჩვენებელი აქვს სოფელ საბათლოსაც, მმართველი გუნდის კანდიდატს ვასილ ჩოვუშიანს აქ 92,48%-იანი მხარდაჭერა აქვს.

დაბალი მაჩვენებლით „ოცნების“ კანდიდატებიდან მეორე ადგილზეა სოფელ არბოშიკის მაჟორიტარობის კანდიდატი არსენ ბაღაშვილი, მას ამომრჩეველთა მხოლოდ 70%-მა დაუჭირა მხარი, რაც 512 ხმას შეადგენს.

არსენ ბაღაშვილის დაბალ რეიტინგს სოფელში მის წარსულს უკავშირებენ, როდესაც ის ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა. ასევე, საუბრობენ იმაზეც, რომ „ოცნების“ კანდიდატს დამოუკიდებელმა კანდიდატმა ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა წაართვა. საინიციატივო ჯგუფის მიერ დასახელებულმა გიორგი სეხნიაშვილმა არბოშიკში ამომრჩეველთა 28,59%-იანი მხარდაჭერა მიიღო.

შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს, ასევე, დედოფლისწყაროს გამგებლის ყოფილ მოადგილეს, ზემო ქედის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, ნიკოლოზ (ნუკრი) ხუციშვილს, მას ამომრჩეველთა 78,6%-მა დაუჭირა მხარი.

პარტიული შედეგები

ცესკო-ს მონაცემების თანახმად, დედოფლისწყაროში „ქართულ ოცნებას“ ყველაზე მეტი მხარდამჭერი სოფელ სამრეკლოში ჰყავს. როგორც ირკვევა, სამრეკლოში ამომრჩეველთა 98,48%-მა მხარი „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა. №18-ე საბათლოს საარჩევნო უბანზე 94,2%, ხოლო №10-ე მირზაანის ოლქში 94%.

სამრეკლოში დადებულ მაღალ შედეგებს ერთის მხრივ მაჟორიტარ კანდიდატს, და, ასევე დედოფლისწყაროს გამგებლობის კანდიდატის მთავარ დაპირებას უკავშირებენ. ნიკოლოზ ჯანიაშვილის საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი სოფელ სამრეკლოში მდებარე ე.წ. „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაციის საკითხი იყო, სავარაუდოდ, ერთსულოვანი მხარდაჭერის მიზეზი სხვა ფაქტორებთან ერთად ეს გარემოებაც გახდა.

(გაგრძელება გვ.3)

გამგეგლობის კანდიდატების შედეგები

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (ქართული ოცნება) - 87,37% (9910 ხმა)
ემზარ ჯანაშვილი (ნაცმოძრაობა) — 10,69% (1213 ხმა)
გელა ბაგალიშვილი (არასაპარლამენტო ოპოზიცია) — 1.93% (219 ხმა)

* * *

პროპორციული სია

„ქართული ოცნება“ - 84,46% (9 658 ხმა)
„ნაციონალური მოძრაობა“ — 9,51% (1 088 ხმა)
„ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ — 2,9% (332 ხმა)
ლეიბორისტები – 2,13% (243 ხმა)
„არასაპარლამენტო ოპოზიცია“— 0,75% (86 ხმა)
„თვითმმართველობა ხალხს“ - 0,24% (28 ხმა)

გამარჯვებულ მაჟორიტართა სია

არხილოსკალო: გოჩა ანთაური — 96,75% (415 ხმა)
სამრეკლო: გოჩა სამუკაშვილი - 93,29% (1043 ხმა)
საბათლო: ვასილ ჩოვუშიანი - 92,48% (209 ხმა)
ოზაანი: ზაზა მეხრიშვილი - 89,12% (508 ხმა)
ხორნაბუჯი: გიორგი გოგილაშვილი - 88,24% (825 ხმა)
ზემო მაჩხაანი: ალექსანდრე ბენაშვილი - 85,89% (1394 ხმა)
ქ. დედოფლისწყარო: მიხეილ ბახუტაშვილი - 84,11% (2 351 ხმა)
სამთაწყარო: მერაბ ცეცხლაძე - 80,35% (689 ხმა)
გამარჯვება: გივი გიგაური — 79,74% (429 ხმა)
ზემო ქედი: ნიკოლოზ ხუციშვილი - 78,66% (730 ხმა)
არბოშიკი: არსენა ბაღაშვილი - 70,04% (512 ხმა)
ქვემო ქედი: დავით ხუმარაშვილი — 62,66% (339 ხმა)

„არა შვილ ჰკლა“...

გვ. 4

ზურაბ ჩალაბაშვილის იუბილეს მიეძღვნა

გვ. 5

მსოფლიო ბანკმა კახეთში განხორციელებული პროექტებისთვის სამი უწყება დააჯილდოვა

გვ. 2

ქარსაცავ ზოლებზე იმსჯელეს

გვ. 2

C M Y K

დავით უსუფაშვილი - "ქართული ოცნება" აგრძელებს იმ პასუხისმგებლობის ტვირთის ტარებას, რასაც ხელისუფლება ჰქვია

არჩევნებზე ამომრჩევლის მიერ გამოხატული ნება დემოკრატიულ სტანდარტებთან მიახლოებულია, მრავალპარტიულობის ძალიან სერიოზული შემცველობით, - აღნიშნული განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე გააკეთა, სადაც 15 ივნისის არჩევნები კიდევ ერთხელ შეაფასა.

უსუფაშვილის თქმით, მმართველ გუნდს აქვს იმის თქმის საფუძველი, რომ ხალხს მიეცა საკუთარი პოზიციის სრულად გამოხატვის საშუალება, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნება" განაგრძობს იმ საპასუხისმგებლო ტვირთის ტარებას, რასაც ხელისუფლება ჰქვია, საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში.

"წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში პოლიტიკოსები ვსაუბრობთ და ამომრჩეველი გვისმენს. ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი სათქმელი ამომრჩევლებამდე მივიტანოთ სწორად და კარგად და ამომრჩეველმა შეძლოს ჩვენს მიერ ნათქვამის გაგება, ხოლო არჩევნების დღეს უკვე ხალხი საუბრობს. ეს ხალხის დღეა და შემდეგ უკვე პოლიტიკოსებმა კარგად უნდა გავიაზროთ ხალხის მიერ ნათქვამი, ანუ ხალხის მიერ არჩევნებზე გამოხატული ნება. ვფიქრობ, ეს ნება არის ცალსახა. ეს ნება არის სერიოზულად მიახლოებული დემოკრატიულ სტანდარტებთან, მრავალპარტიულობის ძალიან სერიოზული შემცველობით, ეს იყო შედეგები, რაც დიდი ხანია საქართველოში აღარ ყოფილა - ამ ტიპის თავისუფლება, როგორ პოლიტიკოსების, ასევე ამომრჩევლის ნების გამოვლენის თვალსაზრისით და მივიღეთ შედეგი, რომელიც გვაქვს. თუმცა ჯერ არჩევნები არ დასრულებულა. 20-მდე რაიონსა და ქალაქში მეორე ტური გაიმართება, სადაც ჩვენი თანამოქალაქეები გამოავლენენ საკუთარ მერსა და გამგებელს. ეს არის ჩვენი საერთო წარმატება. საქართველოს პარლამენტსაც აქვს სერიოზული წვლილი ამ საქმეში - ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების და "საარჩევნო კოდექსის" დახვეწის კუთხით, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ მუშაობა გვჭირდება ძალიან ბევრი მიმართულებით, რათა განვამტკიცოთ სახელმწიფოს ფუნდამენტი — თვითმმართველობა. ჩვენ გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ხალხს მივეცით საშუალება გამოეხატა საკუთარი პოზიცია და კოალიცია "ქართული ოცნება" აგრძელებს იმ პასუხისმგებლობის ტვირთის ტარებას, რასაც ხელისუფლება ჰქვია, საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში", - განაცხადა დავით უსუფაშვილმა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.

მსოფლიო ბანკმა კახეთში განხორციელებული პროექტებისთვის სამი უწყება დააჯილდოვა

მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, კახეთის რეგიონული განვითარების პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო დააჯილდოვა.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონიდან ჯილდოზე სულ 80 პროექტი იყო წარდგენილი, რომელთაგან 16 შეირჩა. მსოფლიო ბანკმა ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად „კახეთის რეგიონული განვითარების პროექტი" დაასახელა, რომელსაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებდა, მსოფლიო ბანკის მხრიდან კი პროექტს მდგრადი განვითარების პროგრამების კოორდინატორი სამხრეთ კავკასიაში აჰმედ აივეიდა უძღვებოდა.

„ერთობლივად განვახორციელეთ რეგიონული განვითარების პროექტი, რომელიც ძალიან წარმატებული იყო. რაც მთავარია, ამ მუშაობას შედეგი მოაქვს, როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ისე მისი კონკრეტული მოქალაქეებისთვის", - აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში ჰენრი კერალმა.

მსოფლიო ბანკის ჯილდო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს - ელგუჯა ხოკრიშვილს, ფინანსთა მინისტრს - ნოდარ ხადურს და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს - გიორგი სომხიშვილს გადაეცათ. დაჯილდოების ცერემონიალს ფონდის ის თანამშრომლები ესწრებოდნენ, რომლებიც პროექტის განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართული. დაჯილდოების ცერემონიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი, გიორგი კვირიკაშვილიც ესწრებოდა.

„კახეთის რეგიონული განვითარების პროგრამა" მიზნად ისახავდა კახეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობას, ტურიზმის სექტორისა და სოფლის მურნეობის განვითარებას.

8 ქალაქში მერს, 11 მუნიციპალიტეტში კი გამგებლებს ხელახლა აირჩევენ

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 12— დან 8 თვითმმართველ ქალაქში მერის არჩევის მიზნით არჩევნების მეორე ტური გაიმართება. მეორე ტურში მონაწილეობას თითოეულ ქალაქში არჩევნების პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი მიიღებს. 11 მუნიციპალიტეტში ხელმეორედ აირჩევენ გამგებლებს.

მერის ასარჩევად მეორე ტური გაიმართება შემდეგ თვითმმართველ ქალაქებში: თელავი - „ქართული ოცნება"/„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; რუსთავი -„ქართული ოცნება"/„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; მცხეთა - „ქართული ოცნება"/„მწვანეთა პარტია"; გორი - „ქართული ოცნება"/„ირაკლი ოქრუაშვილი - ქართული პარტია"; თბილისი - „ქართული ოცნება"/„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; ოზურგეთი - „ქართული ოცნება"/„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"; ბათუმი - „ქართული ოცნება"/„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; ფოთი - „ქართული ოცნება"/„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი".

გამგებლის ასარჩევად მეორე ტური გაიმართება 59-დან 11 მუნიციპალიტეტში: ახმეტა - „ქართული ოცნება"/„ნინო ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია"; ყვარელი - „ქართული ოცნება"/„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; გორი „ქართული ოცნება"/„ირაკლი ოქრუაშვილი -ქართული პარტია"; თიანეთი - „ქართული ოცნება"/„ნინო ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია"; მარტვილი - „ქართული ოცნება"

/„ნინო ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია"; ქობულეთი - „ქართული ოცნება"/„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; ბაღდათი - „ქართული ოცნება"/„სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს გზა"; ხონი - „ქართული ოცნება"/„ნაციონალური მოძრაობა". ტყიბული - „ქართული ოცნება"/„ნინო ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია"; ლანჩხუთი - „ქართული ოცნება"/„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"; თერჯოლა - „ქართული ოცნება"/„ნაციონალური მოძრაობა".

ცესკოს ინფორმაციით, აღნიშნულ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს 2 მუნიციპალიტეტი - თელავი და ხულო.

მათივე ცნობით, თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური ივლისის შუა რიცხვებში გაიმართება. ზუსტი თარიღი მას შემდეგ გაირკვევა, რაც საჩივრების განხილვა დასრულდება და გასაჩივრების ვადები ამოიწურება.

რიჩარდ ნორლანდი - ველოდებით, რომ მეორე ტური იქნება ისეთივე კარგი, როგორიც იყო პირველი

ველოდებით, რომ არჩევნებისას აღმოჩენილი ანომალიები თუ ხარვეზები იქნება შესწავლილი, გათვალისწინებული და აღმოფხვრილი მეორე ტურის ჩატარების წინ , - ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, არჩევნები საერთო ჯამში სანდო და კარგად ადმინისტრირებული იყო.

"ამერიკის საელჩომ ჰოლანდიელ და ბრიტანელ კოლეგებთან ერთად გააკეთა ერთობლივი განცხადება, ვინაიდან ჩვენ გვქონდა საშუალება ერთობლივი ჯგუფების მეშვეობით დავკვირვებოდით მიმდინარე არჩევნებს. ჯგუფებს ჰქონდათ საშუალება 600-ზე მეტ უბანს სტუმრებოდნენ და ეწარმოებინათ დაკვირვება. არჩევნები შევაფასეთ როგორც სანდო, კარგად ადმინისტრირებული და ისეთი, როგორიც ასახავდა ამომრჩევლის ნებას. ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ არჩევნების შედეგად წარმომადგენლობის ხარისხი იქნება უფრო პლურალისტური. ივლისში ჩატარდება მეორე ტური იქ, სადაც საჭიროა. ველოდებით, რომ აღმოჩენილი ანომალიები თუ ხარვეზები იქნება შესწავლილი, გათვალისწინებული და აღმოფხვრილი არჩევნების მეორე ტურის ჩატარების წინ. ველოდებით, რომ მეორე ტური იქნება ისეთივე კარგი, როგორიც იყო პირველი" , - განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები კახეთში

კახეთის გუბერნატორის, ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, სეტყვისგან გამოწვეული ზარალის შესამცირებლად შემუშავებული პროექტის განხორციელებისთვის მთავრობამ 20 მილიონი ლარი გამოყო.

მნიშვნელოვანი პროექტების რიგში სკოლების, საბავშვო ბაღებისა და კულტურის სახლების რეაბილიტაციასთან ერთად, კახეთის გუბერნატორი რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების დამონტაჟებას ასახელებს, რომელიც 2015 წლის გაზაფხულიდან უნდა ამუშავდეს.

ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით, სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები ავტომატიზებულ რეჟიმში იმუშავებს და როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ისინი მიყენებულ ზარალს 85-95 %-ით შეამცირებს. პროექტს კომპანია „დელტა" განახორციელებს, მეთვალყურეობას კი ეკონომიკის სამინისტრო გაუწევს.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, შალვა ფიფიამ განაცხადა, რომ ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ორგანიზაცია „დელტა" სეტყვის მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

ფიფიას განცხადებით, სამინისტრო ხელმისაწვდომი აგროდაზღვევის განვითარებას ხელს შეუწყობს.

როგორც მან განაცხადა, ორშაბათს ხელი მოეწერება ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც მომდევნო ექვსი კვირის მანძილზე შესწავლა და კვლევა ჩატარდება და ამის შემდეგ აგროდაზღვევის პროექტი უკვე წარმოდგენილი იქნება.

დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი გურიასა და სამეგრელოს რეგიონებში არსებული ზარალს კი, მინისტრის განცხადებით, სპეციალისტები აღრიცხავენ. აღირიცხება ინფრასტრუქტურული ზარალიც და სწორედ ამის შემდეგ მიირებს მთავრობა გადაწყვეტილებას თუ რა ფორმით მოხდება ამ ზარალის ანაზღაურება.

ამასთან, კახეთის 7 ქალაქში სექტემბრიდან 24—საათიანი წყალმომარაგებისთვის მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყება, — ამის შესახებ კახეთის მხარის გუბერნატორმა განაცხადა. მისი თქმით, პროექტი ითვალისწინებს მოსახლეობისთვის სასმელი წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას, რისთვისაც 40 მილიონი ლარია გამოყოფილი. „ქალაქების უზრუნველყოფის შემდეგ სოფლებში გადავინაცვლებთ, სადაც წყლის პრობლემა ასევე მოსაგვარებელია", — დასძინა შიოლაშვილმა.

როგორც გუბერნატორი აცხადებს, წყალმომარაგების პრობლემა კახეთს მემკვიდრეობით ერგო და ეს საკითხი თითქმის ყველა დასახლებაში გადასაჭრელია როგორც სასმელი, ასევე სარწყავი წყლის მიმართულებით.

შიოლაშვილის თქმით, ამ ეტაპზე ალაზნის პირას მიმდინარეობს სამელიორაციო სამუშაოები, სადაც სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის ფარგლებში თითქმის მთლიანად იცვლება მილები.

ქარსაცავ ზოლებზე იმსჯელეს

დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების მოწყობისა და ბორჯომში 2008 წლის ომის შედეგად გადამწვარი ტყის აღდგენის პროექტებზე სამუშაო ვიზიტით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ავსტრიის საპარლამენტო დელეგაცია და ავსტრიის 15-მდე მედიასაშუალების წარმომადგენელი ესტუმრა.

როგორც „შირაქს" სამინისტროდან აცნობეს, სტუმრები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ხათუნა გოგალაძესა და მინისტრის პირველ მოადგილეს ნინო შარაშიძეს შეხვდნენ. მინისტრმა ავსტრიელ პარლამენტარებთან ავსტრიის მთავრობის დაფინანსებითა და ხელშეწყობით განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.

შეხვედრისას ეროვნული სატყეო პროგრამის საკითხებზე, ტყის კოდექსზე, დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების მოწყობისა და ბორჯომში 2008 წლის ომის შედეგად გადამწვარი ტყის აღდგენაზე, ასევე სატყეო სექტორში სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა ასევე იმ პროექტებზე, რომელიც საქართველოში ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) დაფინანსებით ხორციელდება.

მინისტრმა შეხვედრის დასასრულს ავსტრიის მედიის საშუალებების წარმომადგენელთა შეკითხვებსაც უპასუხა. ავსტრიელი ჟურნალისტების განსაკუთრებული ინტერესი საქართველოში არსებულმა ეკოლოგიურმა მდგომარეობამ, ასევე სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებმა და ბიუჯეტთან დაკავშირებულმა საკითხებმა გამოიწვია.

ილია მარტყოფლიშვილი

არჩევნებმა გადაიარა

(პირველი გვერდიდან)

საბათლო ძირითადად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული საზღვრისპირა სოფელია, შესაბამისად, ადგილობრივები ყოველთვის ხელისუფლების მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ.

დარღვევები

მთელი დღის განმავლობაში კენჭისყრის პროცედურები ხმაურისა და სერიოზული დარღვევების გარეშე მიმდინარეობდა. დროულად და ყველა წესის დაცვით გაიხსნა დედოფლისწყაროში არსებული 23-ივე საარჩევნო უბანი. არც პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან და არც არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლების მხრიდან სერიოზული დარღვევა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, კენჭისყრა ისე დასრულდა, არცერთი საჩივარი არ დაფიქსირებულა.

საოლქო კომისიაში ვითარება ღამის 2 საათისთვის დაიძაბა. №7-ე ხორნაბუჯის საარჩევნო უბანი შემაჯამებელი ოქმის დაბალანსებას ვერ ახერხებდა. უბნის თავმჯდომარე პეტრე მამულაშვილმა საარჩევნო ბიულეტენებისა და ინვენტარის დალუქვამდე და შემაჯამებელი ოქმის შევსებამდე დატოვა უბანი და ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე საოლქო კომისიის შენობაში მივიდა. მისი თქმით, ოქმის დაბალანსებას ვერ ახერხებდა და კონსულტაცია ესაჭიროებოდა. მისი შენობაში ყოფნა გააპროტესტა საოლქო კომისიის წევრმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ ზურაბ ყოჩიაშვილმა. ის უბნის თავმჯდომარეს ჯერ მშვიდი ტონით მოუწოდებდა ეჩვენებინა რა ოქმი ეკავა ხელში და აეხსნა, რატომ დატოვა უბანი პროცედურების დასრულებამდე. მამულაშვილმა ოქმის ოპოზიციისთვის ჩვენება არ ისურვა და თავის არიდების მიზნით სხვა ოთახში მიმალვა სცადა. ყოჩიაშვილი მას გაეკიდა და კვლავ დაჟინებით ითხოვდა ენახა, რას წერდა ოქმში. მოგვიანებით ინციდენტი სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს კომისიის სხვა წევრებისთვის არც სიტყვიერი და არც ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. მამულაშვილი ამბობდა, რომ გაარტყეს და კბილები ჩაანგრიეს, თუმცა მას დაზიანების, ან სისხლის კვალი არ აღენიშნებოდა. მოგვიანებით ყოჩიაშვილს „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წარმომადგენლებიც შემოუერთდნენ. ვითარების განმუხტვას რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი ცდილობდა, რომელიც თანაგუნდელებს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა. მოგვიანებით, საოლქო კომისიის შენობასთან „ქართული ოცნების“ აქტივისტებიც გამოჩნდნენ. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რის გამოც ხულიგნობის მუხლით ორი პირი, ზურაბ ყოჩიაშვილი და მამუკა ბაღაშვილი დააკავეს.

„ნაციონალური მოძრაობიდან“ დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრ ზურაბ ყოჩიაშვილს და პარტიის წარმომადგენელ მამუკა ბაღაშვილს სიღნაღის რაიონულმა პროკურატურამ ბრალი წაუყენა. სიღნაღის პროკურატურის პროკურორის ირაკლი მინაშვილის განცხადებით, ზურაბ ყოჩიაშვილსა და მამუკა ბაღაშვილს ბრალი ჯგუფურად ჩადენილ ხულიგნობაში ედებათ. მამუკა ბაღაშვილის ძმის ლევან ბაღაშვილის განცხადებით, ზურაბ ყოჩიაშვილმა და მისმა ძმამ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პეტრე მამულაშვილს შემაჯამებელი ოქმის გაყალბების საშუალება არ მისცეს. 16 ივნისს პეტრე მამულაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს პოლიციაში უჩივლა და ცემაში დაადანაშაულა.

სიღნაღის სასამართლომ 18 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრსა და წარმომადგენელს 5 000-ლარიანი გირაო შეეფარდათ. ბრალდების მხარე „ნაციონალური მოძრაობის“ საოლქო კომისიის წევრის ზურაბ ყოჩიაშვილის და წარმომადგენლის მამუკა ბაღაშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას მოითხოვდა.

პროკურორის მოთხოვნას ბრალდებულების ადვოკატი გიორგი გელხაური არ დაეთანხმა და გირაოს შესახებ შუამდგომლობა წარადგინა. სასამართლო პროცესს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც დაკავებულების გათავისუფლება პირადი თავდებობის საფუძველზე მოითხოვეს. საქმის არსებითი განხილვა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში 12 აგვისტოსთვის დაინიშნა.

არჩევნების დღეს იარაღის გამოყენებისთვის დაკავებულია მესამე პირიც. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის განცხადებით, დედოფლისწყაროში, გომელაურის ქუჩაზე, N3 ბაგა-ბაღში განთავსებულ N20 საარჩევნო უბანში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა ერთ-ერთ დამკვირვებელს, ურთიერთშელაპარაკებისას, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ პნევმატური იარაღიდან ჰაერში ერთხელ გაისროლა. როგორც ნინო გიორგობიანმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, გამოძიება ხულიგნობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

საჩივრები

დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიამ „ნაციონალური მოძრაობის“ სამი საჩივრიდან არცერთი არ დააკმაყოფილა. კომისიამ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის მამუკა ბაღაშვილის 2 საჩივარი 17 ივნისს, ერთი კი 18 ივნისს განიხილა.

ორი საჩივარი №7 ხორნაბუჯის საუბნო-საარჩევნო კომისიაში მომხდარ ინციდენტს უკავშირდება, ხოლო მესამე საჩივარი №12 ზემო ქედის უბანზე მომხდარ შემთხვევას ეხება. „ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის მტკიცებით, ზემო ქედის უბანზე კომისიის წევრი ნანული პავლიაშვილი საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაგდებას ცდილობდა, რაც მათმა წარმომადგენელმა დააფიქსირა.

საოლქო კომისიის სხდომაზე №12-ე უბნის წევრები გამოიძახეს და მათი ახსნა-განმარტებითი ბარათები განიხილეს. როგორც კომისიის მდივანმა ნინო ბულაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, წევრების მხრიდან ფაქტი არ დადასტურდა, რის გამოც კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ამას გარდა, №7 ხორნაბუჯის საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები ხელახლა დაითვალეს. ცნობილია, რომ კენჭისყრის დასრულების შემდეგ უბნის თავმჯდომარე პეტრე მამულაშვილმა უბანი დატოვა და შემაჯამებელ ოქმში შედეგების დასაბალანსებლად კონსულტაციის მისაღებად საოლქო კომისიაში წავიდა.

ამ ფაქტზე საოლქო კომისიაში ორი საჩივარია შესული, „ნაციონალური მოძრაობა“ შედეგების გაბათილებას ითხოვდა. საოლქო-საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ ხელახლა გადათვლის შედეგები შემაჯამებელი ოქმის მონაცემებს დაემთხვა, ამდენად, საბოლოო შედეგების გაუქმების აუცილებლობა არ არსებობს.

საოლქო კომისიაში აცხადებდნენ, რომ შედეგების გაუქმების საფრთხე არ იყო, თუმცა უბნის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხზე იმსჯელებდნენ, თუმცა ირკვევა, რომ პეტრე მამულაშვილს კომისიის №27-ე განკარგულებით მხოლოდ გაფრთხილება გამოეცხადა.

სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობა“ საოლქო კომისიის გადაწყვეტილებას გასაჩივრებს.

ამომრჩეველთა აქტივობა

დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა 12 000-მდე ამომრჩეველმა მიიღო, რაც საერთო ოდენობის 51.65%-ს შეადგენს. ბოლო მონაცემებით დედოფლისწყაროში 22 622 ამომრჩეველია რეგისტრირებული.

ილია მარტყოფლიშვილი

ოზაანში არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა

მშვიდობიანად ჩაიარა არჩევნებმა სოფელ ოზაანში. აქ ათასამდე ამომრჩეველი წყვეტდა სოფლისა და ქვეყნის ბედს. აქვე გახლდნენ ოზაანის მაჟორიტარობისთვის მებრძოლი კანდიდატები. მეუღლესთან და შვილებთან ერთად მოვიდა არჩევნებზე სოფელ ოზაანის ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატი ზაზა მეხრიშვილი, რომელიც თავდაჯერებული იყო სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერით. არჩევნებს ესტუმრა რაიონის გამგებლობის კანდიდატი(ამჯერად უკვე აშკარა უპირატესობით არჩეული გამგებელი) ნიკოლოზ ჯანიაშვილიც, რომელსაც უპირველესად აგიტატორების საარჩევნო შტაბის შორიახლოს ყოფნა და მობილიზება მოაკლდა თვალში. „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში დაგვხვდა ოზაანის შტაბის ხელმძღვანელი გია ბენაშვილი. ერთი ნიუანსი, რაც „შირაქმა“ ამ უბანზე არჩევნების მსვლელობისას შენიშნა ის გახლდათ, რომ ერთ-ერთი ამომრჩეველი, თავისი ბიულეტენებით დერეფანში გადიოდა, როგორც გაირკვა, მას უბრალოდ შეეშალა და საარჩევნო კაბინა მეორე ოთახში ეგონა. კომისიის თავმჯდომარემ ქეთევან გოგილაშვილმა ამომრჩეველი კაბინასთან მიიყვანა, ხოლო კომისიის წევრებს შენიშვნა მისცა და მეტი მობილიზებისა და ყურადღებისკენ მოუწოდა მათ.

ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ამ უბანშიც ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა შეინიშნებოდა.

ლალი მეხრიშვილი

“არა შვილ ჰკლა“...

აბორტი - დანაშაული თუ არჩევანი?

ის გრძნობს, სტკივა, განიცდის.მას სიცოცხლე სურს.სამყაროს ნახვას ესწრაფვის. მაგრამ ხშირად მისი არსებობა “პრობლემებს” ქმნის. “ზედმეტი ტვირთი” ხდება. ბევრი ფიქრი საჭირო არაა, ამ უსიამოვნების თავიან აცილება მიზერული თანხის სანაცვლოდაა შესაძლებელი. რა მოხდა, ის სულ რაღაც სამი თვისაა. პროცედურას კი ოცი წუთი სჭირდება. ასე კლავენ მშობლები საკუთარ შვილებს.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით აბორტების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ 18 წლამდე ასაკის გოგონებისთვის ნაყოფის ხელოვნურ მოცილებას კანონი კრძალავს, ქალთა საკონსულტაციის ცენტრში ღიად საუბრობენ, რომ აბორტს თითქმის ბავშვები იკეთებენ.

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ინიციატივით მომზადებული საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, უკანონო აბორტების მკეთებელთა მიმართ სასჯელი მკაცრდება. ამასთან, იგეგმება აქტიური პროპაგანდა, რამაც ქალებს აბორტზე უარი უნდა ათქმევინოს. ცვლილების ინიციატორთა განცხადებით, ეს არის ქვეყანაში მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზა.

დიმიტრი ხუნდაძე, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:

- გაეროს მონაცემების მიხედვით, 2050 წლისათვის მოსალოდნელია საქართველოს მოსახლეობის შემცირება 1 170 000 მოქალაქით. ამავე მონაცემებით, ამიერკავკასიაში აზერბაიჯანელი მოსახლეობის რაოდენობა გაიზრდება 30%-ით, სომხეთის მოსახლეობის რაოდენობა კი - 7%-ით. ეს პერსპექტივა ამიერკავკასიაში დისბალანსის საფრთხეს ქმნის, ამიტომაც შესაძლებელია, დემოგრაფიული საკითხი პოლიტიკურ ჭრილში განვიხილოთ - ამიერკავკასიაში საქართველო დამბალანსებლის ფუნქციას ასრულებს და თუ მან პოლიტიკური გავლენა დაკარგა, ეს რეგიონში უფრო მძიმე პრობლემების მიზეზი გახდება... გარდა ამისა, ბოლო 8 წლის განმავლობაში 162 სოფელი გაუკაცრიელდა, 158 სოფელში 8-10 კაცი ცხოვრობს, ზოგან კი მხოლოდ ერთი. დაუცველი რჩება სასაზღვრო ზოლი. ჩვენ თუ აღარ ვიქნებით, სხვები ჩასახლდებიან, ანუ ჩნდება დემოგრაფიული ანექსიის საშიშროება. ომებით ტერიტორიის 20% დავკარგეთ, დემოგრაფიული პრობლემების შედეგად კი შეიძლება უფრო მეტი დავკარგოთ. უმძიმესია აბორტების თემაც. 2012 წელს ოფიციალურად რეგისტრირებულია 40 000 აბორტი. არარეგისტრირებული, შესაძლოა, მეტიც იყოს, ანუ ჩვენს ქვეყანაში დღეში დაახლოებით 200 აბორტი კეთდება. ეს ძალიან დიდი დარტყმაა ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისათვის. დემოგრაფიულ მდგომარეობას თავისი დაღი დაასვა ომებმა, ასევე ბოლო წლებში პატიმრების რაოდენობის კოლოსალურმა ზრდამ.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამთავრობო კომისია და დემოგრაფიული საკითხი უკვე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში განიხილება. წლის ბოლომდე დასრულდება პროექტი, რომელიც 81 ამბულატორიის მშენებლობას გეგმავს. 30%-ით გავზარდეთ სოფლის ექიმის ანაზღაურება. მუშაობს ორსულთა პროგრამა, რომლის მიხედვით, 13 კვირამდე ისინი უფასოდ მიიღებენ ფოლიუმის მჟავას, მათ კი, ვისაც რკინადეფიციტური ანემია აქვთ, ექიმის მიმართვის საფუძველზე აფთიაქში უსასყიდლოდ შეუძლიათ მიიღონ პრეპარატი. თუ აქამდე, გინეკოლოგს სამი დღის განმავლობაში უნდა გაემართა კონსულტაციები ორსულთან, აეხსნა, რა არის აბორტი და რა გართულებები მოჰყვება, ახლა ეს ვადა ხუთ დღემდე გაიზარდა. სამწუხაროდ, არ არსებობს არარეგისტრირებული აბორტების სტატისტიკა. ჩვენი კომიტეტის პოზიცია ასეთია: უნდა გამკაცრდეს სისხლის სამართლის ნორმები, რათა მოხდეს ამგვარი დანაშაულის პრევენცია.

სახელმწიფო კანონში სირცხვილის აბორტის დაშვებას გეგმავს. მაინც რა ცნებაა ის?

კანონის ინიციატორთა განმარტებით, დასაშვები იქნება აბორტი სამედიცინო ჩვენებით და ე.წ. სირცხვილის აბორტი. თუმცა, სირცხვილის აბორტი არ ნიშნავს იმას, რომ ქალს, რომელიც არაოფიციალური ურთიერთობის შედეგად დაორსულდა, ექიმი მყისვე დათანხმდეს აბორტზე. ხუთდღიანი კონსულტაციების დროს ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ მან შვილის გაჩენა ისურვოს. მომავალში ასეთი ქალებისთვის ვგეგმავთ ორსულთა სახლების შექმნას, სადაც მას ყველანაირ მომსახურებას გაუწევენ. ერთ წლამდე ბავშვს ადმინისტრაცია უპატრონებს და თუ ამ ხნის განმავლობაში მშობელს ამის სურვილი და პირობები ექნება, შეძლებს თავისი შვილის ოჯახში წაყვანას.

უკანონო აბორტისთვის სასჯელი მკაცრდება

უკანონო აბორტის გამკეთებელი პირველი შემთხვევისას დაისჯება 120-იდან 300 საათამდე საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ორ წლამდე. გამეორების შემთხვევაში პირს ორიდან ოთხ წლამდე აღეკვეთება თავისუფლება და სამი წლით აეკრძალება პროფესიული საქმიანობა. უკანონო აბორტით ორსულის სიცოცხლის მოსპობა დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან ექვს წლამდე, პროფესიული საქმიანობის უფლება კი სამი წლით ჩამოერთმევა.

აბორტის აკრძალვის შესახებ დისკუსია დიდი ხანია, დაიწყო. აბორტის აკრძალვის მოწინააღმდეგეები ქალთა ჯანმრთელობისა და არჩევნის თავისუფლებაზე საუბრობენ, მომხრეები კი ნაყოფის სიცოცხლის უპირატებობას უსვამენ ხაზს.

1966 წელს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა ნიკოლაი ჩაუშესკუმ “ბრძანებულება 770”-ით ქვეყანაში აბორტი და ნებისმიერი ფორმის კონტრაცეფცია აკრძალა. ჩაუშესკუს მიზანი ახალი რუმინული მოსახლეობის შექმნა და მისი 23 მილიონიდან 30 მილიონამდე გაზრდა იყო. “ჩანასახი საზოგადოების კუთვნილებაა, ყველა, ვინც ბავშვის გაჩენას თავს აარიდებს, დეზერტირია” - ამბობდა ჩაუშესკუ.

1967 წლამდე რუმინეთში აბორტის შესახებ მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კანონი მკაცრმა კონტროლმა ჩაანაცვლა. ქვეყანაში გაქრა კონტრაცეპტიული საშუალებები, აიკრძალა სექსუალური განათლება, თითოეული რუმინელი ქალისთვის თვეში ერთხელ გინეკოლოგთან ვიზიტი სავალდებულო გახდა. პოლიციის მიერ მკაცრად კონტროლდებოდა საავადმყოფოები, ყველა გამოვლენილი ორსულობა მმოზიაროებით უნდა დამთავრებულიყო.

ჩაუშესკუს ბრძანებულების შედეგად 1966 წლიდან 1967 წლამდე მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებელი თითქმის 100 პროცენტით გაიზარდა. ერთ ქალზე გაჩენილი ბავშვების რაოდენობამ 1.9-დან 3.7-მდე მოიმატა. 1967 წელს დაბადებული ბავშვთა რაოდენობამ რუმინეთის ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

მკაცრი კონტროლის მიუხედავად, ქალები არასასურველი ორსულობის შესაწყვეტად სხვადასხვა პრიმიტიულ და ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიშ მეთოდებს მიმართავდნენ. არასტერილურ პირობებში ჩატარებული აბორტების შედეგად ინფექციებითა და სხვადასხვა გართულებებით უმრავი ქალი ილუპებოდა. გაიზარდა ბავშვთა სიკვდილიანობაც - ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე, 83 ბავშვი ილუპებოდა. ეს მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში ბავშვთა სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილ ბავშვზე 10 გარდაცვლილი იყო. ქვეყანა სილატაკის ჭაობში ჩაეფლო, რომლის შედეგებს დღემდე იგრძნობ.

ამჟამად ევროპის უმეტეს ქვეყანაში აბორტი ლეგალიზებულია. ყოფილი კომუნისტური ქვეყნებიდან აბორტი მხოლოდ პოლონეთშია აკრძალული. რელიგიური მოსაზრებებით აბორტს ირლანდიის კანონდებლობაც კრძალავს და დასაშვებად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუ ორსულობა დედის ჯანმრთელობას სერიოზულ საშიშროებას უქმნის. მეზობელ ქვეყნებში აბორტის გასაკეთებლად სტუმროობა ორივე ქვეყნის ქალებისთვის ჩვეული პრაქტიკაა. ყოველწლიურად დაახლოებით 6000 ირლანდიელი ქალი ამ მიზნისთვის ინგლისს სტუმროობს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, ყოველ საათში 8 ქალი კვდება არალეგალური აბორტების შედეგად, წლიურად ეს მაჩვენებელი 68 000 გარდაცვლილ ქალს ითვლის. სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი სტატისტიკა აფრიკას, აზიასა და ლათინურ ამერიკას აქვს. განვითარებად ქვეყნებში 100 000 არალეგალურ აბორტზე 367 სიკვდილის შემთხვევა რამდენიმე ასეულით აღემატება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს, სადაც აბორტი ლეგალიზებული და შედარებით უსაფრთხოა.

აბორტის აკრძალვის თემა საქართველოში 5 მაისის შემდეგ ისევ აქტუალური გახდა. სამების ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს საქართველოს პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე გააცნეს. დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად პატრიაქი მთავრობას აბორტის აკრძალვის შესახებ კანონის მიღებისაკენ მოუწოდებდა:

“დღეს, როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისათვის (რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებიც უნდა იყოს გათვალისწინებული). მანამდე კი, მასმედიის საშუალებებს შეუძლიათ უდიდესი დადებითი როლი შეასრულონ და დიდი მადლიც მოიპოვონ, თუ შექმნიან სათანადო განწყობას მრავალშვილიანობის წასახალისებლად და აბორტის საწინააღმდეგო განწყობის შესაქმნელად. მთავარი სწორედ განწყობის შექმნაა.” - წერდა ილია მეორე.

პატრიარქის განცხადებას მედიასა და სოციალურ ქსელებში დისკუსია მოჰყვა. აბორტის აკრძალვის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს საკუთარი არგუმენტები აქვთ.

აბორტის მოწინააღმდეგეთა ნაწილი ნაყოფის სიცოცხლის უპირატებობას აღიარებს და მას ცოცხალ ადამიანად განიხილავს, შესაბამისად, მათთვის აბორტი ადამიანის მკვლელობის ტოლფასია.

მიუხედავად იმისა, რომ აბორტი ქალის ფსიქიკური და ფიზიოლოგიურ ჯანმრთელობას აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს, აბორტის აკრძალვას ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები ეწინააღმდეგებიან.

გამოცდილება აჩვენებს, რომ აბორტის აკრძალვის პრაქტიკას, როგორც წესი, აბორტის შემცირების ნაცვლად, ქალთა ჯანმრთელობის გაუარესება და სიკვდილიანობის ზრდა მოჰყვება. აბორტის აკრძალვა ქალს აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლინებს და ის არასტერილურ პირობებში მაინც გაიკეთებს.

“თავისთავად აბორტი მისასალმებელი ფაქტი არაა, მაგრამ უნდა ვისჯელოთ, არის თუ არა მისი აკრძალვა გამოსავალი. რას მოგვცემს აბორტის აკრძალვა, დემოგრაფიულ გამრავლებას თუ აბორტის პრაქტიკის იატაკქვეშეთში გადასვლას? როგორც წესი, აკრძალვის შემთხვევაში ქალთა სიკვდილიანობა იმატებს, აბორტების რიცხვი კი იზრდება.” - ამბობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მრჩეველი გენდერულ საკითხებში თამარ საბედაშვილი.

ასევე ფიქრობენ მედიკოსები:„ქალს თუ უნდა ორსულობის შეწყვეტა, იმდენად ბევრ და სხვადასხვა მეთოდს ხმარობს ამისათვის, იმდენად არის გავრცელებული ხალხური მეთოდები, რომ მას აუცილებლად გაიკეთებს. ამას ბოლო პერიოდში შემოტანილმა მედიკამენტებმაც შეუწყო ხელი. აკრძალვით აბორტების რიცხვი მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკით შემცირდება, რეალურად კი უმრავ არალეგალურ და შესაბამისად საშიშ აბორტს მივიღებთ.“

აბორტების რაოდენობის შემცირებისთვის ზრუნვას მიესალმება, მაგრამ საქართველოს სოციო-ეკონომიკურ პირობებში აბორტის აკრძალვას დაუშვებლად მიიჩნევს მკვლევარი და პოლიტოლოგი ლელა რეხვიაშვილი.

“აბორტის აკრძალვა იგივეა, რომ ავკრძალოთ პრობლემა. მსგავსი წარმატებით შეგვიძლია ავკრძალოთ სიღარიბე, უმუშევრობა, ჯგამრთელობის პრობლემები, თუმცა აკრძალვა არცერთ პრობლემას არ მოაგვარებს. საზოგადოებას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ჩვილთა და დედათა ჯგამრთელობის, განათლების და ცხოვრების უფლების დაცვას, არავითარი მორალური საფუძველი არ გაჩნია აბორტის აკრძალვის მოთხოვნისთვის. აბორტის აკრძალვის ინიციატივა არამხოლოდ უპასუხისმგებლო, შეიძლება დანაშაულებრივი ნაბიჯიც კი იყოს.” - ამბობს ის.

რეხვიაშვილის აზრით, საქართველოში, სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად, პირველი სამი თვის განმავლობაში აბორტის გაკეთება უფასო უნდა იყოს. ქალს უსაფრთხო აბორტის გაკეთება ფინანსური ბარიერების გარეშე უნდა შეეძლოს.

„ქალს აქვს აბორტის გაკეთების უფლება, და თუ ვინმეს დემოგრაფიაზე და ადამიანის ჯგამრთელობაზე გული შესტკივა, სჯობს იმაზე იზრუნოს, რომ სამ თვემდე აბორტის გაკეთება უფასო იყოს ქალებისთვის, ისევე როგორც უამრავ განვითარებულ ქვეყანაშია.“ - ამბობს ის.

მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ აბორტის აკრძალვა, ყველაზე მეტად, ფინანსურად შეჭირვებულ ქალებს უქმნის პრობლემებს. შეძლებული ქალები აბორტის გაკეთებას სხვა ქვეყანაში წასვლით, ან ექიმთან მოლაპარაკებების გზით ახერხებს. გაჭირვებული ქალებისთვის კი უსაფრთხო აბორტის ძვირადღირებული გზები დახურულია.

აბორტის აკრძალვა ფემინისტური და ქალთა უფლებების პერსპექტივიდანაც მიუღებელია. ფემინისტების მოსაზრებით, ეს ქალისთვის ავტონომიურობის და საკუთარი სხეულის კონტროლის უფლების წართმევაა. ქალის აუცილებელი დანიშნულება დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაა. შედეგად კი მისთვის გადაწყვეტილების მიღების საშუალების ჩამორთმევასა და მისი პიროვნების რეპროდუქციული უნარების მქონე არსებამდე დაყვანამდე მივდივართ.

“ქალის არჩევანის მომხრე ათასობით ქალი და კაცი მინახავს, მაგრამ აბორტის მხარდამჭერი, არავინ,” - ამბობდა აშშ-ს სახელწიფო მინისტრი ჰილარი კლინტონი აშშ-ში აბორტის შესახებ დისკუსიისას. აბორტის ლეგალიზების მომხრეები აღნიშნავენ, რომ აბორტი, როგორც ფაქტი, თავისთავად სასურველი და ქალის ოცნება არაა, მაგრამ მას საკუთარი გადაწყვეტილების მიღება უნდა შეეძლოს.

აბორტის მომხრეებისთვისაც აბორტი საუკეთესო გამოსავალი არ არის, აბორტს არავინ მიესალმება, როგორც კონტრაცეპციურ გზას, რომელიც ქალის ჯგანმრთელობას მძიმე დარტყმას აყენებს.

თამარ საბედაშვილს სასურველ გამოსავლად აბორტის, როგორც კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენების მაქსიმალური შემცირება ესახება. მისი თქმით, საქმე არასასურველ ორსულობამდე არ უნდა მივიდეს. ამისათვის სექსუალური განათლება და კონტრაცეპტივების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობაა საჭირო.

“არასასურველი ორსულობა თავიდან უნდა ავიცილოთ, კონტრაცეფციის უმარავი საშუალება არსებობს. საუკეთესო გამოსავალი არასასურველ ორსულობამდე არმისვლაა და ამისათვის მოსახლეობის ინფორმირებულობა და განათლებაა საჭირო.” - ამბობენ მედიკოსები.

აბორტი მით უფრო სარისკოა, რაც უფრო მცირეა დედის ასაკი. მეან გინეკოლოგი რუსუდან ხუგაშვილი განმარტავს, თუ რატომაა არასასურველი მცირე ასაკში ორსულობა: ”15 წლამდე ასაკის გოგონების სიკვილიანობა 20 წლის ორსულებთან შედარებით ხუთჯერ მაღალია. მცირე ასაკში ასევე მოსალოდნელია სამშობიარო ტრამვები, რამაც შესაძლოა ინვალიდობა გამოიწვიოს. ადრეულ ასაკში სხეული მოუმწიფებელია, რის გამოც ხშირია ნაადრევი მშობიარობები. ასევე ამ ასაკში ექიმთან კონსულტაციაზე საჭირო დროს არ მიდიან, შესაბამისად აბორტს ისეთ დროს იკეთებენ, როცა ნაყოფი დიდია. პრობლემის მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სექსობრივი აღზრდის სისტემა. ბავშვებს ეს ინფორმაცია რომ ჰქონდეთ, სექსობრივი გზით გადამდები დაავადებებიც შემცირდებოდა.”

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„ლაბირინთმა“ ორი წლის იუბილე იზეიმა



7 ივნისს დედოფლისწყაროში არსებულმა ბავშვთა გასართობმა ცენტრმა „ლაბირინთმა“ ჩვენი რაიონის პატარებს უმასპინძლა. ცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა მარინე ცხვედიაშვილმა ამით კიდევ ერთხელ კეთილი ნება გამოხატა და უფასო აქციით გაახარა პატარების გულები. ღონისძიება ბავშვთა დაცვის დღეს და „ლაბირინთის“ დაარსებიდან ორი წლის იუბილეს უკავშირდებოდა. ყურადსაღებია, რომ ეს გახლდათ რიგით მეშვიდე უფასო აქცია, რითაც ბავშვთა გასართობი ცენტრი კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას პატარა აღსაზრდელების მიმართ და ხელმძღვანელობს დევიზით: მშვიდობა, სიხარული და უზრუნველობა ბავშვებს!... ზუსტად ორი წლის წინ ჩვენს რაიონში დიდი ზეიმით გაიხსნა სრულიად ორიგინალური, ამ რაიონისთვის პირველი ბავშვთა გასართობი ცენტრი, მართალია, ამჯერად ეს დღე მოკრძალებულად აღნიშნეს, მაგრამ ამ ორი წლის მანძილზე დარბაზმა უმასპინძლა უამრავი ბავშვის იუბილეს, წვეულებას თუ ყოველდღიურ გართობას., რამაც ჩვენი ბავშვების ცხოვრება გაალამაზა. ბავშვებმა უფასოდ მიირთვეს ტკბილეული, ბუტერბროდები და ტკბილი წვენები. ჩატარდა სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული ღონისძიება, შემდეგ კი იხტუნავეს, ისრიალეს და ითამაშეს. წარმატებებს და ბავშვთა სიმრავლეს ვუსურვებთ ბავშვთა გასართობ ცენტრ „ლაბირინთს.“



ლალი მეხრიშვილი

გამოსაშვები საღამო №1 საჯარო სკოლაში

დამთავრდა კიდევ ერთი სასწავლო წელი, სკოლებს ემშვიდობებიან მოსწავლეები, სხვადასხვა სკოლებში სხვადასხვა სახის ღონისძიებები მიმდინარეობს, ზეიმია N1 საჯარო სკოლაშიც. IV^ა კლასი კლასის დამრიგებელს მარინა ინასარიძეს ემშვიდობება და სტარტს ახალი რეალობისკენ, ზედა საფეხურისკენ იღებს. მარინა მასწავლებლისთვის მისი 30 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ეს უკვე მეხუთე გამოშვებაა, მისი მოსწავლეები კი

სიბეჯითესთან ერთად ყოველთვის განსაკუთრებული დისციპლინურობით და სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით ამ ასაკშივე გამოირჩევიან. მათ ამ სიყვარულს მარინა მასწავლებელი ოთხი წლის მანძილზე დიდი მონდომებით უნერგავს. ღონისძიება ჰიმნით დაიწყო, შემდეგ კი წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს. გამოსაშვები საღამო მთლიანად სამშობლოს სიყვარულზე იყო ორიენტირებული, თითოეული ლექსი, სიმღერა თუ წარმოდგენილი სცენარი სამშობლოს სიყვარულს და მის დიდებას ემსახურებოდა. ჩვენს თვალწინ გააცოცხლეს ბავშვებმა გმირები:ბაში-აჩუკიკახა ჩალახეშაშვილმა, მელანომარი გიგაურმა, პირიმზისა-მზექალა სეხნიაშვილმა, მისი ტყუპისცალი პირიმთვარისა - ანი ფიროსმანაშვილმა, მეფე ერეკლე-ერეკლე მოდებაძემ, ინგილო ქალი-მარიამ მოსაშვილმა. კიდევ ერთხელ შეგვახსენეს 300 წლის წინ , თბილისის მახლობლად, სოფელ მარაბდაში ცხრა ძმა ხერხეულიძის მიერ ჩადენილი გმირობა, გააცოცხლეს გმირი ცოტნე დადიანი, მეფე ერეკლე, მეფე ვახტანგ გორგასალი, მეფე დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და ყველა ის გმირი, რომელთა სამშობლოსადმი თავდადებამ და სიყვარულმა მოიყვანა დღემდე ჩვენი ქვეყანა და „თუ მაინც გადარჩა, თუ ისევ დგას ფეხზე, თუ ისევ აღინიშნება მსოფლიო რუქაზე მისი უსწორმასწორო სხეული, ეს მხოლოდ მათი ძალითა და შეწევნით, ვინც მის გადარჩენას უყოყმანოდ ანაცვალა ყოველგვარი პირადული და თვით სიცოცხლეც“...დიახ,

„თავმოძულებულს, თათრის ბეგარით,
გაალმასებულს სპარსთა უღელით,
ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი,
სუფრასთან იჯდა ჯაჭვგაუხდელი!...

ამ სიტყვებს შეგვახსენებს სცენიდან ანა მოდებაძე, მას თამარ ღვედაშვილის ფანდურის თანხლებით შესრულებული პატრიოტული ხასიათის სიმღერები, სიმღერებს ცეკვების პოპური სცვლის და ასე მოსწავლეების: ანა ქადაგიძის, ანი თადეევის, ანა გიგაშვილის, მარი მოსაშვილის, ანი ფიროსმანაშვილის და სხვათა მიერ შესრულებულმა მხატვრულმა ნომრებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ერს, რომელსაც ასეთი ნიჭიერი, ლამაზი და მიზანდასახული თაობა ეზრდება, აუცილებლად ბრწყინვალე მომავალი ელოდება.

ღონისძიების დასასრულს ბავშვები დალოცა და მომავალში წარმატებები უსურვა დეკანოზმა ნიკოლოზ ლომსაძემ, აგრეთვე, აღფრთოვანება ვერ დამალა წარმოდგენილი სცენარით და ბავშვების მიერ ასეთი მაღალი პასუხიმგებლობის გრძნობით შესრულებული თითოეული როლისადმი N1 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ქ-ნმა ნანული ნატროშვილმა: ჩვენს წინაშე მთელი საქართველოს ისტორია გააცოცხლეთ თქვენ, მიმართა ბავშვებს და უსურვა, არასოდეს დაეკარგოთ ეროვნული თვითმყოფადობის შეგრძნება.

„მე ერთი ჰაჰა მეაგდა, რჩეული
გვარ-ტომთა,
უეკარდა გაზაფხული, ევავილთა
ფანტელები,
სულ იმას იმახდა, სულ იმას
ამბობდა,
- ვაი, რა ცოტანი ვართ დღეს
ქართველები!

თენგიზ მორჩიაულის ამ ლექსით მოგვმართა დასასრულს მარინა მასწავლებელმა და თავის აღზრდილებს კიდევ ერთხელ მოუწოდა მომავალში მაღალი აკადემიური მოსწრების, სამშობლოსადმი თავდადების, ერის გამრავლებისა და წინაპრებისადმი პატივისცემისკენ.

ელზა ხარაშვილი

ზურაბ ჩალაბაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში

13 ივნისს, ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა ზურაბ ჩალაბაშვილის 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში, სადაც მონაწილეობდნენ საგარეჯოს, სიღნაღის, ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების - 2002 წელს დაბადებულ ბავშვთა ფეხბურთის გუნდები.

ტურნირს, საპატიო სტუმრის სტატუსით, ესწრებოდნენ: კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, კახეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა როსტომაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი ნინო ბახუტაშვილი. სატელევიზიო გადაცემა- „ეტალონი“-ს წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

ამხანაგურ შეხვედრებში პირველ ადგილზე გავიდა ახმეტის მუნიციპალიტეტის გუნდი, მეორე ადგილზე-დედოფლისწყაროს გუნდი, მესამე ადგილზე-სიღნაღის გუნდი.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილეობდნენ ახმეტისა და დედოფლისწყაროს გოგონათა გუნდები. ახმეტის გუნდს არ ყავდა სრული შემადგენლობა, რის გამოც შევსება მოხდა ვაჟებით. ახმეტის გუნდმა, მცირე უპირატესობით, სძლია დედოფლისწყაროს გოგონათა გუნდს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ნინო ბახუტაშვილმა, ზურაბ ჩალაბაშვილს და მონაწილე გუნდებს გადასცა ფასიანი საჩუქრები და შესაბამისი დიპლომები.

კახეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა როსტომაშვილმა, პირადად გადასცა საჩუქარი ზურაბ ჩალაბაშვილს და წარმატებები უსურვა შრომა-საქმიანობაში.

სპორტული ფორტუნა ჩვენს მხარესაა

ქალაქ გურჯაანში ჩატარდა სპორტული შეჯიბრი „გურჯაანი -2014“, სადაც ჩვენი რაიონიდან მონაწილეობა მიიღო სამმა მკლავჭიდელმა და ათმა მინი ფეხბურთელმა. მკლავჭიდში მძიმე კატეგორიაში ჩვენმა რაიონმა პირველი და მეორე ადგილები მოიპოვა, ხოლო 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში-მესამე ადგილი. მინი ფეხბურთში კი, კახეთის რეგიონის ჩემპიონები გავხდით.

ნონა ნატროშვილი
დედოფლისწყაროს გემგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი.

გამოიცა კიდევ ერთი კრებული

გამოვიდა ჯუმბერ უთრუთაშვილის ახალი წიგნი „გოლგოთა“. არაერთი ალმანახის თანაავტორი, ოთხი საავტორო წიგნის გამომცემელი პოეტი ჯუმბერ უთრუთაშვილი ჩვენი მიწის შვილია, ის ამ რაიონში დაიბადა და აგერ უკვე ცხოვრების დაისი უდგას, მაგრამ არ ეპუება, იბრძვის, იბრძვის ქართული სიტყვის არსებობისთვის, ლექსით თავისი ტკივილის გადმოცემისთვის.

„დავიბადე ქიზიყის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ არბოშიკში, ლექსის სენი და გემო აქვე დავაჭაშნიკე. ღვიძლი სოფლის მთა-ბარმა, კეთილმა ადამიანებმა აანთეს და გააღვივეს ჩემს გულში დედასამშობლოსაქართველოს და ქართველი ხალხის სიყვარული. ჩემი ლექსის სტრიქონები დარდ-სევდიანია და ცრემლებითაა გაჟღენთილი, რაც გამოწვეულია კოჟანდარა ვაჟიშვილის ტრაგიკული სიკვდილითა და ძვირფასი ახლობელი ადამიანის დაკარგვით, აგრეთვე სამშობლოს მოურჩენელი ტკივილებითა და ჭრილობებით.“-ამბობს პოეტი წიგნის წინასიტყვაში და ამის პარალელურად მადლიერებით მოიხსენიებს ადამიანებს, ვინც წინამდებარე ლექსის კრებულის „გოლგოთა“-ს გამოცემაში დაეხმარა. ამისთვის იგი მადლობას უხდის ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ქალბატონ ნინო ბახუტაშვილს და ბატონ ბაჩუკი გონაშვილს.

ცნობისთვის: ჯუმბერ უთრუთაშვილს გამოცემული აქვს „მამის ცრემლები“, „ზედაშე“, „ამაღლება“, და აგერ უკვე მეოთხე „გოლგოთა“. მისი ლექსები შეტანილია ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, კახეთის პოეტთა კრებულში „ირმების გადმოსახედი“. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, რაიონის მწერალთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე. წლების მანძილზე, მისი მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარეობის დროს, გამოიცა პოეტური კრებული „სალბუნის“ სამტომეული, რომელიც რაიონის თითქმის ყოველი მოქალაქის ოჯახში ინახება და მასში შეტანილია რაიონის პოეტთა ლექსები.ბატონი ჯუმბერი სხვადასხვა წლებში გახლდათ მწერალთა შეხვედრა-იუბილეების მოთავე და ინიციატორი. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა ის დააჯილდოვა საპატიო დიპლომით-ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებულიწვლილისთვის და მიენიჭა ქართული კულტურის ამაგდარის წოდება. ჯუმბერ უთრუთაშვილის ლექსები ძალიან ახლობელია ჩვენი რაიონის მკვიდრთათვის, მისი სტრიქონები გაჟღენთილია ქიზიყური დიალექტით, რომელიც ძალიან ახლოს მოდის ჩვენს სულთან, ყოფითობასთან.



პოეტის ახალი კრებული „გოლგოთა“ მისი სიბერის წლების შემოქმედების ნაყოფია, მასში უამრავ ახალ ლექსს შეხვდებით, აქვს უამრავი მიძღვნები ბიძინა მაზიაშვილისადმი, ჰამლეტ გონაშვილისადმი, მშობლიური არბოშიკისადმი, ნიკო ფიროსმანისადმი და, თქვენ წარმოიდგინეთ, სამთაწყაროში ჩასახლებული აჭარლებისადმიც კი, რომელიც ახალ კრებულშია შესული. თავად პოეტთა შეხვედრების და იუბილეების ინიციატორს, არასოდეს რგებია პატივი მისთვის მოეწყო რაიონის მოსახლეობას შეხვედრა. წლების წინ, ჯუმბერ უთრუთაშვილს, როგორც პოეტს ერთადერთხელ მოუწყეს შეხვედრა სოფელ გამარჯვების სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგის დოდო სულაშვილის ორგანიზატორობით და ეს გახლდათ მართლაც დიდებული და დაუვიწყარო საღამო, სადაც საათნახევრის განმავლობაში სოფელ გამარჯვების სკოლის მოსწავლეები ზეპირად, მთელი გრძნობით და ძალიან ხატოვნად წარმოთქვამდნენ ბატონი ჯუმბერის ლექსებს. სასურველი იქნებოდა, რომ ის შეხვედრა მთელი რაიონის საზოგადოებას ეხილა. მე მჯერა და ალბათ ასეცაა, არ არსებობს დედოფლისწყაროელი, ვინც ჯუმბერ უთრუთაშვილის ერთი ლექსი, ერთი სხარტულა, ან მისი ლექსიდან ერთი ტაეპი მაინც არ იცოდეს ზეპირად. პირადად განსაკუთრებით მიყვარს მისი ეს ლექსი და თქვენც გთავაზობთ, ჩემო მკითხველო.

მზეს სახლი უდგას ალაზნის ველზე

ცა ოქროს სინით ალმასებს
გაურის
და ვარსკვლავეთში გზატიჟობს,
გიხმობს,
ლომის სადარი ზატარა კახი,
მზის დასაზურობად ქუდზე კაცს
ითხოვს.
ზეცას ეხება მთები გომბორის,
მამულის დიდი გადასახედი
და ამაე მხრებზე, როგორც
ხურჯინი,
გადუკიდია მთელი კახეთი.
უბე-კალთებში ვით წიწილები
შეუბუდნია ჩვენი სახლები,
ხარობს ვით დედა, როცა ვცილდებით
და ცისკენ მივქრით მისი
ბახლები.
ქედმოუხრელი ციხე ჯოეთის,
დედავ, რომ გედგა უდრეკ
დარაჯად,
გასცქერის სივრცეს, როგორც
ზოეტი
და ტანზე იცვამს მწვანე ფარაჯას.
დედოფლისწყარო მამულის
ფარი,
ზურის ბედელი, ნიკალას დედა,
მზის საქართველოს სხივი და
თვალი,
უღელ-მარჯვენით შენს წინსვლას სჯედავს.
სიღნაღი ქამარს ჩოთირობს
წელზე,
დაღესტნის მთებიც მგლებს
აღარ ზრდიან,
მზეს სახლი უდგას ალაზნის
ველზე
და აზურმუხტებს მიწას
მადლიანს.

დიდია ბატონი ჯუმბერის შემოქმედება, რომელსაც გადმოსაცემად ეს ფურცლები არ ეყოფა, ვისაც გსურთ, რომ გაეცნოთ მის შემოქმედებას, წაიკითხეთ პოეზიის ახლადდაბადებული კრებული „გოლგოთა“.

ლალი მეხრიშვილი

აქ ჩვენი რაიონის ისტორიაა დავანებული

ცნობილი ფრაზა: მუზეუმი ის წიგნია, სადაც ოსტორიას ნივთები ჰყვებიანო. ჭეშმარიტებაა. მუზეუმის მნიშვნელობა და ღირსება კი იმით განისაზღვრება, თუ რამდენი ნივთია მის საცავში, რა ღირებულების და ხანდაზმულობისაა ისინი. ყველა მხარეს თავისი ისტორია აქვს, მათ შორის ჩვენს რაიონსაც. ჩვენი მხარეთმცოდნეობის მეზეუმი ის ადგილია, სადაც უამრავი საინტერესო ნივთი, ლეგენდა და ამბავი იყრის თავს. გულდასაწყვეტია, რომ ჩვენი საზოგადოება ნაკლებადაა დაინტერესებული, გაეცნოს ამ უნიკალურ მასალებს. მიიწურება თუ არა სასწავლო წელი, ჩვენი სკოლები და კლასები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ სად წავა ექსკურსიაზე, როგორ ხარჯს გაამზადებენ მშობლები, რამდენდღიანი იქნება ეს გასეირნება. ამაში, თავისთავად, ცუდი არაფერია, მაგრამ ამ მასწავლებელთა და ბავშვთა უმრავლესობას ჩვენი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი არც უნახავს, არ დაინტერესებულა იმ საგანძურით, რომელიც მის საცავში ინახება, არადა, მართლაც მდიდარია ამ მუზეუმის ფონდი, რომლის შევსებაზე, ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, დღენიადაგ მუშაობენ ამ ორგანიზაციის თანამშრომლები. ვურჩევ სკოლების დირექტორებს, კლასის ხელმძღვანელებს, მშობლებს, ეწვიონ მუზეუმს, მიიღონ დიდი სიამოვნება და გაიმდიდრონ ცოდნა. და როცა „მუჰამედი არ მიდის მთასთან, მთა მოდისო მუჰამედთან“, ხომ გაგიგონიათ, ჰოდა, ჩვენი რედაქცია ცდილობს, შუამავლის როლი შეასრულოს და ხშირ —ხშირად ბეჭდავს მასალებს აქ დაცული უნიკალური ნივთების და მათი ისტორიის შესახებ. ამჯერად ჩვენ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტს ლალი ბასილაშვილს *ვესაუბრებით. ქალბატონი ლალი ათეული წლების განმავლობაში იყო მუზეუმის ფონდის მთავარი მცველი, მის ხელში უამრავმა ნივთმა გაიარა და ზოგმა ამ მუზეუმებში, ზოგმაც რესპუბლიკის სხვადასხვა მუზეუმში დაიდო ბინა. ამჯერად ტარიბანის ველზე მობინადრე აფრიკული სპილოს ისტორიის შესახებ გვესაუბრება.*

გთხოვთ, ქალბატონო ლალი!

კავკასია, სადაც საქართველო მდებარეობს, თითქმის მთლიანად ზღვით იყო დაფარული, მოგვიანებით აქ ამოიზიდა ხმელეთი. ზღვა ორად გაითიშა, ახალი ხმელეთის კიდეებზე შავი და კასპიის ზღვები წარმოიშვა. კავკასიის ახალ ამოზიდულ ტერიტორიაზე გაჩნდა მცენარეული საფარი და მოშენდნენ ცხოველებიც. მეცნიერებმა საქართველოში დიდი ხნის წინათ უკვე გადაშენებული ცხოველის ნაშთებს მიაგნეს.

მიწის წიაღი დიდ საიდუმლოებას ინახავს, დროთა განმავლობაში სააშკარაოზე გამოჩნდებიან ხოლმე გაქვავებული ძვლები. მზის სინათლეზე გამოტანილ ამ მასალას კი მეცნიერები სწავლობენ. სწორედ პალეონტოლოგების აკად. ლ გაბუნიას და აკდ. ა. ვეკუას უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა აღმოსავლეთ ნახევარუდაბნოში – ტარიბანაში (დედოფლისწყაროს რაიონი) ნაპოვნი გიგანტური სამხრეთის სპილოს ჩონჩხის მეცნიერული კვლევა. ამ უძველესი მატიანის ამოკითხვისას დაადგინეს, რომ ეს პალეონტოლოგიური მონაპოვარი მილიონობით წლის წინ მცხოვრები და შემდგომში გადაშენებული ცხოველის გიგანტური სამხრეთის სპილოს ჩონჩხი იყო.

არქეოლოგიური მონაპოვარი აღმოაჩინეს წვრილმარცვლოვან მკვრივ ქვიშაში. ცხოველი ეტყობა პირაღმა განმარხებულა, რის გამოც ყველაზე მეტად დაზიანებული ზეაღმართული კიდურები და ეშვები იყო. ამ ადგილებიდან ოდნავ მოშორებით, ხევში პალეონტოლოგებმა იპოვეს ქვიშაქვის ლოდი, რომელშიც მოქცეული იყო მარცხენა ტერფის ძვლები. კიდურების დიდი ნაწილი ალბათ დაიშალა და წყალმა წაიღო. ასეთივე ბედი ეწვია ეშვებსაც. თუმცა, როგორც შემდგომში გაირკვა, ეშვი ინახებოდა კერძო კოლექციონერის იოსებ მენთეშაშვილის კოლექციაში. მეცნიერებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ მოეხდინათ სპილოს ჩონჩხის აღდგენა პირვანდელი სახით.

ტარიბანის სპილო უნდა განმარხებულიყო დალუპვის ადგილას, რომელიღაც გამტკნარებული აუზის ნაპირზე. ამ მოსაზრებას ადასტურებს, ერთის მხრივ, ჩონჩხის შესანიშნავი დაცულობა, ხოლო მეორე მხრივ, ძვლების შემცველ ნალექებში მტკნარი წყლის მოლუსკების პოვნა.

ტარიბნის არქიდისკოდონი იმვიათ პალეოტოლოგიურ ექსპონატს წარმოადგენს, რადგან ამ სპილოს არც ერთ ცნობილ ეგზემპლარს არ აქვს სრული თავის ქალა და ხერხემალი.

მსოფლიოში სულ ცნობილია სამხრეთ სპილოს სამი ჩონჩხი. ერთი მათგანი ნაპოვნია 1869 წელს საფრანგეთში დიურფორის მახლობლად და დგას პარიზის საბუნებისმეტყველო მუზეუმში, მეორე ეგზემპლარი დაცულია პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის მუზეუმში. იგი 1940 წელს აზოვის ზღვის სანაპიროზე ქ. ნოგაისკის მახლობლად ნახეს.

ტარიბნის სპილო მესამე ეგზემპლიარია, რომლის სიმაღლე 4 მეტრი და 12 სანტიმეტრია, ხოლო სიგრძე 3 მეტრი და 10 სანტიმეტრია ეშვების ჩათვლით. მისი ნახვა შესაძლებელია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ტარიბნის სპილოს გეოლოგიური ასაკი ზედა პლიოცენიდან მოდის. პლიოცენი დედამიწის მესამეული პერიოდის უკანასკნელი ეპოქაა და 7 მილიონი წლის წინა პერიოდს მოიცავს.

ტარიბნის ნამარხი სპილო მეცნიერებს საფუძველს აძლევს დაასკვნან, რომ ის არის არქიდისკოდონების ერთ-ერთი უძველესი, შედარებით ზუსტად დათარიღებული წარმომადგენელი. ტიპიური სამხრეთის სპილო, შეიძლება სავარაუდოდ ტარიბნის სპილოს შთამომავლად ჩაითვალოს. მისი კბილების მარტივი აგებულება, სქელი და ნაკლებ დანაოჭებული მინანქარი გვაფიქრებინებს, რომ ეს ცხოველი კარგად იყო შეგუებული ხეშეშ საკვებს, კერძოდ იკვებებოდა ხე-ბუჩქნარის ფოთლებითა და რტოებით. ნამარხი მცენარეები მოწმობს, რომ ზედა პლიოცენში კახეთის ტერიტორიაზე ზომიერი ჰავა უნდა ყოფილიყო.

ძალზე საინტერესოა, რომ განმარხებული სპილოს ნაშთები დედოფლისწყაროს შემოსასვლელში, ყოფილი „საქ. სოფ. ქიმიის“ ტერიტორიაზეც აღმოჩნდა. 2004 წელს გიორგი ღვინიაშვილის მითითებით ჭას თხრიდნენ, 8 მეტრის სიღრმეზე შენიშნეს თეთრი ფერის მასა, ჯერ კირქვა ეგონათ, მაგრამ ზემოთ, რომ ამოიტანეს, მიხვდნენ, რომ ეს იყო ნამარხი ცხოველის ნაშთები. როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, სიღრმეში ეშვიც გამოჩნდა, მაგრამ შეხებისთანავე დაიფხვნა. აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვარი დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იქნა შემოტანილი. არსებობს ვარაუდი, რომ იგი ტარიბნის სპილოს ნაირსახეობას წარმოადგენს. ამ ტერიტორიაზე მეცნიერული კვლევა-ძიება რომ ჩატარებულიყო, ჩვენი სამშობლოს პრეისტორიულ ხვეულებში შესაძლოა კიდევ ერთი მიმართულებაც გაჩენილიყო. სამწუხაროდ, ეს ფაქტიც ისევე დაიკარგა მუზეუმის მშვიდ სავანეში, როგორც მრავალი სხვა, რომლებიც დღემდე გვახსენებენ თავს თავისი ამოუცნობი სიდიადით.



- ქალბატონო ლალი, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის. იმედია, ისე, როგორც სხვა დროს, კვლავაც მოგვიმზადებთ მნიშვნელოვან მასალებს თქვენს მუზეუმში დაცული უნიკალური ნივთების თუ მოვლენების შესახებ. თქვენ ხომ ხელისგულივით იცით მუზეუმის საგანძურის თითოეული ნივთის ისტორია, რადგან მისი დაარსებიდან დღემდე ამ ორგანიზაციაში მუშაობთ და სისხლხორცეულად ხართ დაკავშირებული თითოეულ მათგანთან.

ესაუბრა ნარა გორაშვილი.

ერაყს ნავთობისთვის რადიკალი ისლამისტები იპყრობენ



ერაყში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ოფიციალურმა ბაღდადმა რამდენიმე დღეში დაკარგა კონტროლი ქალაქებზე - მოსულზე, ბაჯისა და ტიკრიტზე, ჯალავლასა და სადიიაზე. დღე-დღეზე მოსალოდნელია შეტევა ბაღდადზეც. ერაყის ხელისუფლება სასწრაფო დახმარებას ითხოვს.

ვინ ებრძვის და უპირებს დამხობას ერაყის დღევანდელ ხელისუფლებას? ეს არის რადიკალური ისლამური დაჯგუფება "ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო" (ISIS), რომელიც 2006 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა და ერაყის 18 პროვინციიდან 8-ზე (ძირითადად, სუნიტებით დასახლებულზე) აცხადებს პრეტენზიას.

ამ რადიკალური ისლამური დაჯგუფების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა "ალ-ქაიდამ", თუმცა, სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს მათ შორის განხეთქილება მოხდა. საგულისხმოა, რომ ჯგუფს ""ალ-ქაიდა" და "თალიბანი" მათი უკიდურესად ექსტრემისტული და ბარბაროსული საბრძოლო მეთოდიკის და ულტრარადიკალური იდეოლოგიის გამო გაემიჯნენ(!). დღეს "ერაყისა და ლევანტის (იმავე სირიის) ისლამური სახელმწიფო", ფაქტობრივად, დამოუკიდებელი შეიარაღებული დაჯგუფებაა, რომლის შემადგენლობაში დაახლოებით 12 ათასი მებრძოლია.

ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი მოსული, სადაც მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ამ დაჯგუფებამ 10 ივნისს დაიპყრო და აქედან უკანმოუხედავად გააქცია ერაყელი სამხედროები და ქალაქის ხელისუფლება. მოსულის აღების შემდეგ ისლამის მებრძოლებს ალაფის სახით დარჩათ ათობით შეჯავშნული "ჰამერი", რომელიც ამერიკელებმა გასვლისას დაუტოვეს ერაყის მთავრობას. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის 430 მლნ დოლარი, რაც ისლამისტებმა მოსულის ბანკებში აღმოაჩინეს. ამხელა ნაღდი ფულის ხელში ჩაგდებით მათ კარგა ხანს არ ექნებათ ფინანსური პრობლემები.

ისლამისტები შეჩერებას არ აპირებენ და დაგეგმილი აქვთ იერიში ერაყის დედაქალაქ ბაღდადზე, სადაც შიიტი პრემიერ-მინისტრის - ნური ალმალიკის ხელისუფლება ზის, რომელიც სუნიტი ისლამისტების მოსისხლე მტერია. თუმცა, ბაღდადამდე მათ კიდევ ერთი დიდი და ისტორიულად მნიშვნელოვანი ქალაქის - სამარას ხელში ჩაგდებაც მოუწევთ, რასაც ამ დროისათვის (14 ივნისს, სტატიის დაწერის თარიღი) ვერ ახერხებენ.

შეიძლება ითქვას, არსებული არეულობით ყველაზე მეტად ქურთისტანის ავტონომიურმა რეგიონმა იხეირა. "პეშმერგა", ქურთების ელიტური სამხედრო დანაყოფი ისლამისტების მიერ მიტოვებულ ნავთობით მდიდარ ქალაქ კირკუკს დაეპატრონა და მისი კონტროლის ცენტრალური ხელისუფლებისთვის გადაცემას არ აპირებს. აღსანიშნავია, რომ კირკუკი ქურთების ისტორიული დედაქალაქია და კარგა ხანი იყო საჯილდაო ქვა ოფიციალურ ბაღდადსა და ერბილს (ქურთების ავტონომიური რეგიონის ცენტრი) შორის.

ერაყის ხელისუფლებამ აშშ-ის ხელისუფლებას სასწრაფო სამხედრო დახმარება სთხოვა. შეშფოთებული არიან თეთრ სახლშიც, რადგან 7-წლიანი ომით თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცეული ერაყი შეიძლება რამდენიმე დღეში ისე დაკარგონ, ამ ქვეყანაში ფეხიც ვეღარასდროს ჩადგან.

დაუჯერებელია, მაგრამ ერაყში შექმნილმა კრიზისმა გუშინდელი მოსისხლე მტრები - აშშ და ირანი, დღეს შეიძლება მოკავშირეებად აქციოს.

სანამ ვაშინგტონში მსჯელობენ, ოფიციალურმა თეირანმა ბაღდადს უკვე შესთავაზა სამხედრო დახმარება სუნიტი რადიკალების მოსაგერიებლად.

ერაყის ხელისუფლებას კიდევ ერთი მოკავშირე გამოუჩნდა თურქეთის სახით. ქ. მოსულში რადიკალურმა ისლამისტებმა თურქეთის დიპლომატები, მათ შორის - თურქი კონსული დაატყვევეს, რამაც ოფიციალური ანკარის გაღიზიანება გამოიწვია.

რისი იმედი აქვს "ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს" დაჯგუფებას ან რა ძალა დგას მის უკან, რომ ამდენი ისლამური სახელმწიფოს გადაკიდების არ ეშინია?

შესაძლოა, მათ ზურგს უმაგრებდეს საუდის არაბეთი, რომლის ხელისუფლებას ხელს არ აძლევს ერაყში ნავთობის მოპოვებისა და ექსპორტის ზრდა. 2014 წლის თებერვლიდან ერაყი დღე-ღამეში 3,4 მლნ ბარელ ნავთობს მოიპოვებს. ერაყელებმა ყოველდღიურად 2,9 მლნ ბარელი ნავთობი რომ გაყიდონ, დაახლოებით 100 მლნ დოლარის მოგებას მიიღებენ. ერაყის მთავრობას უნდა, 2020 წლისთვის ნავთობის მოპოვების დღე-ღამის ნორმა 9 მლნ ბარელამდე გაზარდოს, რაც ბუნებრივია, დასცემს ნავთობის ფასს მსოფლიო ბაზარზე, ეს კი ხელს არ აძლევს საუდის არაბეთს, რომელსაც სურს, შეინარჩუნოს დღევანდელი ფასი - დაახლოებით 100 დოლარი ერთ ბარელზე.

ამ შემთხვევაში საუდის არაბეთის თანამოაზრე ხდება რუსეთი, რომლისთვისაც ნავთობის ფასის დაცემა ეკონომიკური კატასტროფა იქნება, ამიტომ შეიძლება მოსკოვში ელ-რიადზე არანაკლებ სურდეთ ერაყში დაძაბულობის გამწვავება, რათა ამ ქვეყანამ ვერ შეძლოს ნავთობის მოპოვებისა და ექსპლუატაციის ტემპის გაზრდა.

როგორც ხედავთ, მიმდინარეობს ძალზე ჩახლართული პოლიტიკური თამაში და უახლოეს დღეებში, ალბათ, გამოჩნდება, ვინ გაიმარჯვებს...

მონატრება

ილიკო შარვაძე

„მე დავიბადე ვეფხვის წელში ვეფხვივით მარდი, ჩემი ბედი და მოგავალი თან დამყვა მაშინ."

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო დედისერთა ბიჭო, ჩემო ილიკო. 21 ივნისს შენ ორმოცი წლის გახდები, შვილო. ცოცხლები ამ თარიღს არ აღნიშნავენ, მაგრამ შენ ბედისწერამ გიმუხთლა და, ამიტომაც, მოგვიწევს ამ თარიღის აღნიშვნა შენს საფლავზე, ილიკო.

21 ივნისი საათნახევრის დამდგარი იყო, როცა შენ ამ ქვეყანას მოევლინე, წახვედი ამ ქვეყნიდან 21 ნოემბერს, როდესაც საათნახევარი იყო დარჩენილი 21 რიცხვის.

ნუთუ ასეთი დამთხვევაც ბედისწერა იყო. რიცხვი 21 ჩემთვის დიდი სიხარულის და ამავე დროს დიდი უბედურების მაუწყებელია, შვილო.

შენი დაბადების დღე, მწუხარების დღედ მექცა უშენოდ, ყველგან შენ გეძებ, შენი ხმა და სუნთქვა ჩამესმის. შენ ხომ ძალიან გიყვარდა სიცოცხლე, ჩემო სიცოცხლით სავსე და მოუსვენარო ბიჭო, სულ სადღაც გეჩქარებოდა, სულ მზად იყავი მანქანით სადმე გასაქცევად.

ჩვენ, ვინც აქ ვართ დარჩენილები, ჩვენს მიცვალებულებს წლებს მხოლოდ ინსტიქტურად ვუმატებთ, თორემ იქ მთავრდება ყველაფერი, სადაც სიცოცხლე წყდება. ამიტომ, ჩემო ილიკო, შენ მუდმივად 38 წლის დარჩი. შენი კუთვნილი წლები ამ ასაკში დამთავრდა. შენ არ გეღირსა დაკაცება, მუდმივად ბიჭად დარჩი , შვილო.

ოჰ, რა ჩქარა გარბის დრო, რამდენი ცრემლიანი დღე და ღამე გავიდა, უკვე მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. უამრავი სიხარული და სიყვარული მაკავშირებს ამ დღესთან, ახლა ასე მტანჯველ ტკივილად რომ მქცევია. როგორ ბავშვივით გიხაროდა , როცა გილოცავდნენ , ძალიან გიყვარდა შენი დაბადების დღე, ალბათ იმიტომ, რომ დღეგრძელობა არ გწერებია. შენს დაბადების და ამქვეყნიდან წასვლის დღეს ვერაფერი ამოშლის დედის გულიდან, ძნელია უშენობა, შვილო.

რატომ ამბობენ, ბრალი მისი, ვინც კვდებაო, ბრალი იმ დედას, ვინც შვილის სიკვდილს მოესწრება. უშენოდ ყოველი დღის გათენება ჩემთვის ახალი სიკვდილია, რადგან შვილის შეცვლა არ შეიძლება, ამიტომ შვილმკვდარი დედის გულისთვის არანაირი წამალი არ არსებობს.

ჩემო ილიკო,დაბადების დღის აღსანიშნავად შენს საფლავზე მოვა შენი ცოლ-შვილი, მოგილოცავენ 40 წლის იუბილეს. შენი ნიას და ილიკოს პატარა ხელებით დანთებული სანთლები გზას გაგინათებს სამუდამო სასუფეველში. ყოველ დილით, ბაღში წასვლამდე, ილიკო შენს სურათთან სანთელს ანთებს.

მადლობა ყველა იმ ნათესავს, მეგობარს და ახლობელს, ვინც ამ დღეს გაგიხსენებს, თუნდაც ერთი ცრემლი ჩამოუვარდება თვალიდან, ჭიქას ასწევს და იტყვის- დღეს ილიკოს დაბადების დღეაო, შვილო.

შენ დედისერთა იყავი, მაგრამ გამხსენებელი ბევრი გყავს: მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, კლასელები, მეგობრები, შენი წერეთლის ეზოს მეზობლები, ყველა სიყვარულით და ცრემლით მოგიგონებს.

შენს დედულეთში--დედოფლისწყაროშიც ბევრი სიყვარულით გაგიხსენებს. მე კი მეტი რაღა დამრჩენია, ჩემო ილიკო, სანამ ერთმანეთს შევხვდებით სამუდამო სასუფეველში,უნდა ვილოცო შენი სულისთვის. აგინთო ბევრი სანთელი, რომ სულ ნათელში მყავდე, ჩემო ბიჭო.კიდევ ერთხელ ცრემლიანი თვალებით და დატანჯული გულით მოგილოცავ დაბადების დღეს ჩემო მონატრებავ, ჩემო უსაზღვრო სიყვარულო.

დღეს ჩემს სიცოცხლეს , სიცოცხლე ხომ აღარა ჰქვია, მხოლოდ შენთან შეხვედრის იმედით ვუძლებ ამ დიდ ტკივილს, ჩემო ერთად-ერთო სანთელო.

უფალს ვთხოვ, მალე გამიყვანოს ამ ტანჯული ცხოვრებიდან. დამელოდე, შვილო!-იმედი მაქვს, რომ იმ უსასრულობაშიც იპოვი შენს უბედურ დედას და მონატრებული ჩაგიკრავს გულში.

სამარადჟამო შეხვედრამდე, მოგიკვდეს დედა, ჩემო ილიკო.

შენი მონატრებული დედა ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე, მეულლე თამუნა, შვილები: ნია და ილიკო შარვაძეები.

იცით თუ არა, რომ...

1. ტიბეტურ ენაზე ლამა ყველაზე მაღალს ნიშნავს.

2.მოცარტს აქვს ცხოვრებისეული ოპერა-კომედია სახელწოდებით-,,ისინი ყველანი ისე იქცევიან, როგორც ქალები".

3.ოსკარ უაილდმა ქალაქგარეთ გასეირნებისთვის აუცილებელი ტანისამოსი გამოიგონა, რომელსაც დღეს შორტებს ეძახიან.

4.აფთიაქს ადრე ,,ალქაჯების სამზარეულოს" ეძახდნენ.

5.მაჰათმა სანსკრიტზე ,,ღვთაებრივ ზეადამიანს" ნიშნავს.

6.20 წლის დანიელა ნელსონს 52 კილოგრამიანი როტვეელიერი დაესხა თავს, ქალიშვილი არ დაიბნა და ძაღლს... კბილებით ჩააფრინდა, გაოცებულმა როტველიერმა თავი დაანება მსხვერპლს და წკმუტუნით გაიქცა. ძაღლის პატრონი ამბობს, რომ ცხოველმა სერიოზული შოკი მიიღო.

7. ა.შ.შ-ში, სადაც კერძო საკუთრება ლამის ხელშეუხებელ სიწმინდედ მიიჩნევა დაკეტილი სახლის კარზე შესაძლოა თვალი მოჰკრა წარწერას: ,,არ შეხვიდეთ, გესვრიან! ცოცხლად გადარჩენილებს გაასამართლებენ."

8.გოლგოთა ,,თავის ქალას" ნიშნავს.

9. ,,გინესის რეკორდების წიგნში" შესულია კვერცხი, რომელიც 1979 წლის 2 ოქტომბერს ტოკოში 198 მეტრის სიმაღლიდან ჩამოაგდეს და არ გატყდა.

10.დაძაბული ფიქრის დროს ადამიანი უამრავ კალორიას წვავს.

11.შვეიცარიაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: მსუბუქი ყოფაქცევის ქალმა დახმარებისთვის ადვოკატს მიმართა- კლიენტის საძიებლად, ღამით ვერ გამოვდივარ, პოლიცია მუშაობის საშუალებას არ მაძლევსო, ადვოკატმა ძალზე მარტივი გამოსავალი შესთავაზა-ძაღლის შეძენა ურჩია, შვეიცარიის კონების მიხედვით, ძაღლის პატრონს უფლება აქვს, ღამის განმავლობაში ორჯერ გაასეირნოს ორფეხა მეგობარი.

12.აკაკი წერეთელი ამბობდა: ,,გვირგვინებს ნუ მოიტანთ, როდესაც მოვკვდები, თუ ჩემი პატივისცემა გინდათ, იმ გვირგვინების ფული ახლავე მომეცით".

13.ა.შ.შ.-ს სასწავლო დაწესებულებაში ხშირად ნახავთ წარწერას ,,გამაგრდით, მალე პარასკევია."

14.ერთადერთი პლანეტა მზის სისტემაში, რომელსაც ღმერთის სახელი არ ჰქვია დედამიწაა.

15.მსოფლიოს ყველაზე „ახალგაზრდა" ქვეყანა იემენია, იქ მოსახლეობის 52% 15 წლამდე მოზარდია.

მუსიკის ზეიმი

დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი რამდენიმე დღის დაგვიანებით გაიმართა.

ღია ცის ქვეშ მოწყობილ სცენაზე დედოფლისწყაროელი მაყურებლის წინაშე საყვარელი ქართველი მომღერლები — ბესიკ კალანდაძე, დათო კენჭიაშვილი, სოფო ბედია, ტატო გოდერძიშვილი, ნათია ქოროღლიშვილი და მარიტა ხვედელიძე ცნობილი სიმღერებით წარსდგნენ.

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ ადგილობრივი ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები „შირაქი“ და „იმედი“.

საღამო გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

ყურძნის მტევანი 4.000 დოლარად!

“რომაული ლალისებრი” (Ruby Roman) სუფრის ყურძნის ჯიშია, რომელიც იაპონელებმა 2008 წელს გამოიყვანეს. ის მხოლოდ ისიკავას პრეფექტურაში მოდის. მოწეული ყურძნის ხარისხი მკაცრად მოწმდება. თითოეული მარცვალი უნდა იყოს ხასხასა წითელი, ზომით მაგიდის ჩოგბურთის ბურთისოდენა, წონით არანაკლებ 20 გრამისა, ხოლო მასში შაქრის შემცველობა - არანაკლებ 18-22%. განარჩევენ ასევე ე.წ. პრემიუმკლასის “რომაულ ლალისებრს”, რომელიც განსაკუთრებით ძვირი ღირს - ასეთი მტევანი არანაკლებ 700 გრამს უნდა იწონიდეს, ხოლო თითო მარცვალი - არანაკლებ 30 გრამს. მაგალითად, 2010 წლის მოსავალში პრემიუმ-კლასის მხოლოდ ექვსი მტევანი აღმოჩნდა, 2011-ში კი... არც ერთი. 2013 წელს პრემიუმკლასის “რომაული ლალისებრის” ერთადერთი მტევანი მიიღეს, რომელიც აშშ-ში 4.000 დოლარად გაიყიდა.

ულოცავენ!

ნონა და ვაჟა ბილიაშვილებს!

გულწრფელად გვიხარია თქვენი შვილების ლევანის და დარეჯანის ქორწინება. დალოცვილები იყვნენ, გაიხარონ, გამრავლდნენ და იბედნიერონ. უფალი ეწეოდეთ.

პატივისცემით, ევდოშვილის ქუჩელები.

თინიკო ცაკაშვილს და გოგა პოპიაშვილს!

ჩვენო საყვარელო თინიკო და გოგა, გიორგის, მარიამის და ცოტნეს შემდეგ პატარა ელენეს დაბადებას გილოცავთ. დიდი და საპატიო ტვირთია ქვეყნისთვის ოთხი ღირსეული შვილის გაზრდა, მაგრამ თქვენ ისეთი მშრომელები და პასუხისმგებლობით აღსავსენი ხართ, ეჭვიც არ გვეპარება, სანაქებო შვილებს დაზრდით.უფალი იყოს თქვენი შემწე, ხელი მოგემართოთ ცხოვრების გზაზე, ბედნიერები იყავით თქვენს ახალგაზრდა და მრავალრიცხოვან ოჯახში. გვიყვარხარ და გვეამაყებით.

მამიდები: ნარა და გულნარა გორაშვილები, ნათია მოსულიშვილი, ჯიქები, ციხელო გორაშვილი და ვასიკო მოსულიშვილი ოჯახებით.

თინა ფავლენიშვილს!

ჩვენო საყვარელო ქალბატონო თინა, გილოცავთ საიუბილეო - 90 წლისთავს. გისურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობას და კვლავაც ხანგრძლივ სიცოცხლეს, რადგან შენი არსებობით დიდ სტიმულს გვაძლევ ჩვენ ყველას. შენ ხომ დაუშრეტელი სიყვარულის წყარო ხარ, დიდი გულის პატრონი, სადაც უამრავი ადამიანის სიყვარული ეტევა. და ვიდრე სიყვარულის უნარი გაქვს, შენ სრულფასოვანი ადამიანი ხარ, რომელიც ებრძვის სიმარტოვეს, რადგან ადამიანების გარეშე შენ სიცოცხლე ვერ წარმოგიდგენია. დიდი და მდიდარია შენი შრომითი ბიოგრაფია, ცხოვრების რთული, ტრაგიზმით, სიყვარულით და სიხარულით სავსე გზა გაიარე, რაც დასაფასებელია. არ დანებდე სიბერეს, ჩვენო თინანო, გვიგულე მუდამ შენს გვერდით. გვიყვარხარ და გეფერებით.

პატივისცემით, შენი „შირაქელები“.

შიო და მარინე ტეტელოშვილებს!

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები შიო და მარინე ტეტელოშვილებს ვულოცავთ თიკოს და აკაკის ბედნიერებას. ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ სიყვარულს, ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნას და აკვანთა სიმრავლეს.

მადლიერება

არიან პედაგოგები, რომელთა ღვაწლი, ჯაფა, მაღალი ზნეობრიობა სიყვარულს უნერგავს აღსაზრდელებს, სწორედ ამგვარ პედაგოგად შეიძლება ჩაითვალოს დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი დოდო ხუციშვილი.

ყოველთვის პუნქტუალური, მეგობრული, ბავშვების მოსიყვარულე, მომთმენი და გაწონასწორებული, აი, ასეთია დოდო მასწავლებელი.

ჩვენ, მეოთხე კლასელთა მშობლები, მადლიერების გრძნობით აღვსილნი, ქედს ვიხრით ჭეშმარიტი აღმზრდელის წინაშე და ხმამაღლა ვაცხადებთ, დიდი მადლობა, ჩვენო საყვარელო დოდო მასწავლებელო!

ღმერთმა დაგლოცოთ და სულიერი სიმტკიცე შეგმატოთ, რათა კვლავაც შემართებით იმუშაოთ მომავალი თაობების აღსაზრდელად.

ქ. დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მშობლები.

რამდენიმე დღის წინ 6 წლის შვილი გამიხდა ავად-საშინელი თავის ტკივილი ჰქონდა. ვფიქრობ, წინა დღით ბავშვს თავი გაეოფლა და ნიავზე გაცივდა. ამის ფონზე დილით ბავშვმა თავის საშინელი ტკივილით გაიღვიძა, რასაც მაღალი ტემპერატურაც დაერთო. მედიკამენტები მივეცი, ცოტა ხანს ჩაუყუჩდა, მაგრამ შუადღით კიდევ უფრო რთულ ფორმებში გაუმეორდა. ბავშვი ხმამაღლა ღრიალებდა და ტკივილს ვეღარ უმკლავდებოდა. სასწრაფო გამოვიძახე, ექიმი დალი ლალიაშვილი და ექთანი ეკა ჩიტიშვილი აღმოჩნდნენ სასწრაფოს მორიგეები, მათ ბავშვი გასინჯეს, დაამშვიდეს და საავადმყოფოში გადაყვანა შემოგვთავაზეს. იქ ექიმები ანა ლამაზოშვილი, ნერვოპათალოგი ეკა გონაშვილი, ლაბორანტი ია იაკობიშვილი, ექთნები: აქსანა კრავჩენკო და ეკა ბოჭორიშვილი დაგვხვდნენ. ექიმებმა დიდი ყურადღებით გასინჯეს, ბავშვს ინდივიდუალურად მიუდგნენ და შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთეს, რომ ჩემი შვილი ტკივილებისგან გაეთავისუფლებინათ. სასწრაფოდ გაუკეთეს სისხლის ანალიზი, შემდეგ გადასხმა ჩაუტარეს, რომლის დამთავრებისთანავე იქვე, საავადმყოფოშივე, ბავშვი გამოცოცხლდა, საუბარი დაიწყო და ხუმრობის ხასიათზეც კი დადგა. მადლობა თქვენ, ექიმებო, ყველაფრისთვის. ალბათ კარგა ხანს, როცა ჩემს შვილს სახეზე ღიმილი გადაეკვრება, თვალწინ თქვენ დამიდგებით და მადლობას გეტყვით თქვენ და უფალს. გისურვებთ წარმატებებს, მალე მენახეთ იმ სათანადო და თქვენთვის შესაფერის პირობებში მომუშავე, როგორსაც იმსახურებთ.

ზემოხსენებულ ექიმებთან ერთად მინდა მადლიერება გამოვთქვა ჩემი შვილების პედიატრის მანანა ბეგლარიშვილის და ყელ-ყურის ექიმის ნინო ბეგიაშვილის მიმართ, განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობისთვის.

პატივისცემით, ლალი მეხრიშვილი

ამინდი — დედოფლისწყარო

შაბათი 21.06		კვირა 22.06		ორშაბათი 23.06		სამშაბათი 24.06		ოთხშაბათი 25.06		ხუთშაბათი 26.06		პარასკევი 27.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
30 °	24 °	30 °	20 °	24 °	20 °	21 °	17 °	24 °	19 °	27 °	20 °	23 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.